ასპინძის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული თავისებურებანი და მდგარდი განვითარების პრობლემატიკა

მომხსენებელი: გელა სანდოძე
ხელმძღვანელი: პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი

ელ. ფოსტა: Gela.Sandodze@gmail.com , Gela.sandodze674@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. #3

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ასპინძის მუნიცპალიტეტის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება და მდგრადი განვითარების პრობლემები. დახასიათებულია მდგრადი ბუნებრივი პირობები, ინფორმაცია დემოგრაფიის შესახებ, რელიეფის და ნიადაგის დახასიათება , რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ჰიდროგრაფიული ქსელი და ოროგრაფია,მთები უღელტეხილები, რომელიც ასევე წარმოდგენილია ნაშრომში. ისტორიული მდგომარეობიდან გამომდინარე ასპინძის მუნიციპალიტეტში გამოიყო ნასოფლარები და როგორც ბუნებრივი ასევე კულტურული ღირსშესანიშანობანი.

გამოყოფილია ბუნებრივი რესურსების და სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი ფორმები. ასევე მუნიციპალიტეტის ძირითადი ლანდშაფტები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულებულია საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების პრობლემებს.